საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 13479/28

11/10/2018

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამების კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაეცნო თქვენს 2018 წლის 4 ოქტომბრის წერილს №3-264 (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: №13264/28; 04.10.2018), რომლითაც ითხოვთ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოში 2013-2018 წლებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

პასუხად გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლეს ორგანოს, რომელიც ახორციელებს აუდიტს. მისი უფლებამოსილება გარკვეულწილად შეზღუდულია და განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. სამსახურის კომპეტენციაში შედის სხვადასხვა საბიუჯეტო დაწესებულების ფინანსური, შესაბამისობისა თუ ეფექტიანობის აუდიტების ჩატარება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი მხოლოდ საჯარო სახსრების მართვის კანონიერებისა და ეფექტიანობის აუდიტორულ შემოწმებას მოიცავს.

რაც შეეხება სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომლის დაქვემდებარებაშიცაა ზემოთ აღნიშნული დაწესებულება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2013-2018 წლებში განხორციელდა შემდეგი აუდიტები:

2013 წელი – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი 2011 წლის 1 იანვარი – 2012 წლის 31 დეკემბრის პერიოდი (ანგარიში №1/00, 16.01.2014) – 33 ფურცელი;

2014 წელი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (ანგარიში №28/00, 22.10.2014) – 11 ფურცელი;

2016 წელი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (ანგარიში № 65/36, 04.11.2016) – 56 ფურცელი;

2017 წელი – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (ანგარიში № 56/36, 01.12.2017) – 25 ფურცელი;

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

2018 წელი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (ანგარიში №56/36, 21.08.2018) – 21 ფურცელი;

ასევე დამატებით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2015 წელს ჩაატარა **სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი** (ანგარიში № 72/00, 30.012.2015) – 60 ფურცელი.

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ზემოთ მითითებულიაუდიტების ანგარიშების ასლები (ასლების მოცულობა სულ: 206 ფურცელია), ასლის გადაღების მოსაკრებელი იქნება 10.30 ლარი, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე. **ზემოაღნიშნული დოკუმენტები გადმოგეცემათ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე.**

მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

მიმღების დასახელება:	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში
ანგარიშის ნომერი:	200122900
მიმღები:	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:	220101222
სახაზინო კოდი:	300773173
გადახდის დანიშნულება:	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემდგომი რეაგირების მიზნით, 2014 წლის 5 მარტს **გაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში** (წერილი № 25/06).

ასევე დამატებით გატყობინებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის ანგარიშების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sao.ge) და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

პატივისცემით,

ლევან ლობჟანიძე
ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი